



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 427

27 დეკემბერი
“ --- ” ----- 2019 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118¹ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, II მიკრორაიონში, I კვარტალის კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №19.1404.1765 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ი.მ.ა „აკურის №27, 29, 33 ალმასიანის №34, 40, 42, 46“-თან (ს/ნ: 205299737) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ.თბილისი

წ.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [•] განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის [•] განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, წარმოდგენილი [•], მიერ, პ/ნ: [•]) და

მეორე მხრივ, ი.მ.ა „აკურის N27,29,33 ალმასიანის N34,40,42,46“ (შემდგომში - „ქონების შემძენი“, ს/ნ: 205299737, მის: [•]),

ვდებთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო პირობებით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“).

პრეამბულა

ვინაიდან, ქონების შემძენმა 31.10.19წ.; 26.11.19წ. და 10.12.19წ. განცხადებებით (სააგენტოში რეგისტრ. N19/01193042519-01; N19/01193301168-01; N19/01193441820-61) მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში - „მერია“) ქონების შემძენის წინაშე არსებულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (N01.10.13.035.053) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის დაუსრულებელ მშენებლობას, რისი განხორციელებაც შეფერხდა გარკვეული მიზეზების გამო;

ვინაიდან, მერიაში მოქმედ დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - „კომისია“) განხილული აქვს ზემოაღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარების საკითხი და სააგენტოში კომისიის მიერ წარდგენილი 26.11.19წ. N01-01193303140 წერილის თანახმად, მშენებლობის დასრულების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია წინადადება, რომლითაც მოთხოვნილია დაუმთავრებელი მშენებლობისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება: მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა, განაშენიანების მაღალი ინტენსივობის შემცირების და რეკრეაციული სივრცის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საპროექტო ობიექტში (ს/კ: 01.10.13.035.053) საცხოვრებელი ფართის და მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების სანაცვლოდ;

ვინაიდან, კომისიის 05.08.19წ. N5 და 08.10.19წ. N8 ოქმების თანახმად, უძრავი ქონების შემძენმა კომისიას წარუდგინა სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (მათ შორის, სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის საპროექტო წინადადების ფინანსურ-ეკონომიკური გაანგარიშება, ინფორმაცია დაზარალებულების და იპოთეკარების რაოდენობის შესახებ, ასევე, ვალდებულებების შესახებ - ასახული თანხაში და გასაცემ ფართებში), ხოლო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი წინადადება და სამშენებლო ობიექტის პარამეტრების და მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია საპროექტო ობიექტის (ს/კ: 01.10.13.035.053) მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, კომისიამ დაინტერესებული პირისგან მოითხოვა დამატებით დოკუმენტაციის და ინფორმაციის წარდგენა, მათ შორის, დეტალური ინფორმაცია დაზარალებულთა შესახებ (მესაკუთრის, მომავალი მესაკუთრეების გასაცემი ფართების, გადახდილი და გადასახდელი თანხების მითითებით) და სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ვინაიდან, ქონების შემძენმა 26.11.19წ. განცხადებაში აღნიშნა, რომ მან განიხილა საკითხი და შესაძლებლად მიიჩნია, ალტერნატიული ტერიტორიის გადაცემის შემთხვევაში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით და კომუნალური დავალიანებების გარეშე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს განსახილველი ტერიტორიიდან ცალკე საკადასტრო ერთეულად გამოყოფილი უძრავი ქონება: ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ: 01.10.13.035.054), ხოლო, თავის მხრივ, ქონების შემძენმა ითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მისთვის საკუთრებაში გადაცემა (ს/კ: 01.14.01.007.350);

ვინაიდან, როგორც ქონების შემძენი აღნიშნავს, სამშენებლო პროექტის (N01.10.13.035.053 კოდით რეგისტრირებულ საკადასტრო ერთეულზე) 27 სართულიდან 13 სართულამდე შემცირებით სამშენებლო მოცულობა არსებითად შემცირდება, ხოლო ზემოაღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტით განიტვირთება დასახლებული უბანი, გამოირიცხება ტერიტორიის შემდგომი გამოყენება სამშენებლო მიზნებისთვის, ქონების შემძენი კი დაკმაყოფილდება ალტერნატიულ ნაკვეთზე სამშენებლო პროექტის ფარგლებში;

ვინაიდან, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. 21.11.19წ. N008119519 ექსპერტიზის დასკვნით, 01.14.01.007.350 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3,456,500 ლარის ოდენობით. 26.11.19წ. N008286819 ექსპერტიზის დასკვნით, 01.10.13.035.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1,505,350 ლარის ოდენობით;

ვინაიდან, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მუნიციპალური ქონების საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ქონების შემძენის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულებას, მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქონების შემძენის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად

ქონების შემძენისთვის გადაცემა ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, ვინაიდან, განაშენიანების ინტენსივობის შემცირების გარდა, წარმოდგენილი წინადადება შესაძლებლობას იძლევა თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ ტერიტორიაზე მოეწყოს სარეკრეაციო ან საერთო სარგებლობის სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცე, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს;

ვინაიდან, სააგენტოში წარდგენილი 27.11.19წ. N67-011933145 წერილის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის განკარგვა ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 26.11.19წ. N18-0119303142 წერილობითი პოზიციის შესაბამისად, რომლის თანახმად, იგი არ არის მიწის ნაკვეთის განკარგვის წინააღმდეგი;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. პრივატიზების საგანი

ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში, სააგენტო საპრივატიზებო პირობით საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“): ქ. თბილისში, ნუგუზიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს/კ: 01.14.01.007.350). პრივატიზების საგნის მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: N[●]; მომზადების თარიღი [●].

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

- 2.1. პრივატიზების საგნის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი.
- 2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
სახაზინო კოდი: 300773390;
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან.

მუხლი 3. საპრივატიზებო პირობები

- 3.1. ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე 1265 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: 01.10.13.035.054) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

- 3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღნიშნული ტერიტორიის მოსწორებულ, გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 4. პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, საპრივატიზებო პირობებით. პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

- 5.1. სააგენტო აცხადებს, რომ პრივატიზების საგანი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად. პრივატიზების საგანი არ არის იპოთეკით დატვირთული ან/დაყადაღებული.
- 5.2. ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ სააგენტოს არ ეკისრება არანაირი სახის ვალდებულება ან/და პასუხისმგებლობა პრივატიზების საგანთან დაკავშირებით ნებისმიერი მესამე პირის არსებული ან/და სამომავლო მოთხოვნის უფლების, ინტერესის, პრეტენზიის ან/და დავიდან გამომდინარე. ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია საპრივატიზებო საგნის ფაქტობრივი და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და იგი უარს აცხადებს აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს მიმართ ნებისმიერი სახის მოთხოვნის ან/და პრეტენზიის წარდგენაზე.
- 5.3. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ პრივატიზების საგნის ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.
- 5.4. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა პრივატიზების საგანზე.
- 5.5. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო პირობის შესრულების ვალდებულებით, შემდეგი ჩანაწერით: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობებით“.
- 5.6. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. საჯარო რეესტრში პრივატიზების საგანზე უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს გადაიხდის ქონების შემძენი.
- 5.7. პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობებით“.
- 5.8. ქონების შემძენი ვალდებულია, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება

წარმოადგენს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს და აღნიშნულს არ ესაჭიროება მხარეთა შორის რაიმე დამატებითი შეთანხმების დადება. საჯარო რეესტრში ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს გადაიხდის ქონების შემძენი.

- 5.9. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების მომენტისათვის ყველა შესაძლოდ არსებული კომუნალური გადასახადის) და დავალიანების გადახდა, უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
- 5.10. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების მოხსნა კომუნალური სააბონენტო აღრიცხვიდან (აღრიცხულ აბონენტად არსებობის შემთხვევაში) მისი თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვისა. აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს უძრავი ქონების თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირების დღიდან უძრავი ქონების ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობების დემონტაჟამდე პერიოდში ყველა შესაძლოდ გამოვლენილი კომუნალური გადასახადის/დავალიანების გადახდა სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
- 5.11. ქონების შემძენი ვალდებულია, პრივატიზების საგნის შემდგომი გამოყენებისას და განვითარებისას დაიცვას და გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.
- 5.12. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობების და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულების თაობაზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
- 5.13. საპრივატიზებო პირობების შესრულების დადასტურებამდე, ქონების შემძენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შეძენილი ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
- 5.14. საპრივატიზებო პირობების შესრულების დადასტურებამდე, სააგენტოს თანხმობით, პრივატიზების საგნის გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია უძრავი ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე საპრივატიზებო პირობებით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით (პრივატიზების საგნის გასხვისებამდე ქონების შემძენმა წინასწარ უნდა გააცნოს ხელშეკრულება ახალ მესაკუთრეს). პრივატიზების საგნის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.
- 5.15. საპრივატიზებო პირობების შესრულება უნდა დადასტურდეს სააგენტოს მიერ, წერილობითი ფორმით.
- 5.16. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შესრულება სააგენტოს მიერ დადასტურდება ამ საპრივატიზებო პირობით

გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის გათვალისწინებით.

- 5.17. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შესრულების დასადასტურებლად, სააგენტოს უნდა წარედგინოს ქ. თბილისის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილობითი დასტური ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში საპრივატიზებო პირობის შესრულების თაობაზე.
- 5.18. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ნებისმერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო ქონების შემძენს წარუდგენს წერილობით გაფრთხილებას დარღვევის გამოსწორების ვადის მითითებით.
- 5.19. საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი ვალდებულების ხელშეკრულების 5.18 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ დამატებით ვადაში შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 5.20. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, პრივატიზების საგანი (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი ნებისმერი ობიექტი) დაბრუნდება (მიექცევა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლება (უფლებები) გაუქმდება. პრივატიზების საგანი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდება და მასზე არსებული იპოთეკის ან/და სხვა სახის უფლებები გაუქმდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი ცალმხრივი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ქონების შემძენის ან სხვა ნებისმიერი მესამე პირის თანხმობას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ქონების შემძენს არ დაუბრუნდება მის მიერ ხელშეკრულების 5.8 პუნქტის შესაბამისად თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და სააგენტოს/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს არ დაეკისრება ქონების შემძენის მიერ საპრივატიზებო პირობის ან/და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულების შედეგად გადახდილი თანხებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

- 6.1. ქონების შემძენის მიერ საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება დარიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა.
- 6.2. ქონების შემძენის მიერ საპრივატიზებო პირობების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება თითოეულ საპრივატიზებო პირობაზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დარიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 6.3. ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულების 5.9 ან/და 5.10 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონების შემძენს დაერიცხება პირგასამტეხლო თითოეული სახის კომუნალურ

გადასახადზე 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

- 6.4. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;

სახაზინო კოდი: 300773287;

დანიშნულება: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი უთანხმოება ან/და დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დავის მოლაპარაკების გზით დასრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

- 8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქ. N33/პავლე ასლანიძის ქ. N40-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.035.053) არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების დღიდან.
- 8.2. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იქნა მიღებული და შეთანხმებული ამ ხელშეკრულების 8.1 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება, ხელშეკრულება არ შევა ძალაში და იგი მიიჩნევა ავტომატურად გაუქმებულად (ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელების გარეშე).
- 8.3. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ სააგენტოს არ ეკისრება არანაირი სახის პასუხისმგებლობა ან/და ვალდებულება ამ ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით და უძრავი ქონების შემძენს არ აქვს და არ წარმოეშობა არანაირი სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება სააგენტოს ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნებისმიერი სხვა ორგანოს მიმართ ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების ძალაში შეუსვლელობის შემთხვევაში.

მუხლი 9. სხვა პირობები

- 9.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით.
- 9.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის

სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი
გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

[სახელი, გვარი]

ი.მ.ა „აკურის N27,29,33 აღმასიანის N34,40,42,46“

[სახელი, გვარი]